პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

,,ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №169 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 63-ე მუხლის საფუძველზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №169 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31.03.2017, N010260020.35.123.016379), კერძოდ:

1. შეიცვალოს დადგენილების 1-ლი მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მუხლი 1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფი განისაზღვროს 0,6 (სამოცი თეთრი) ლარით";

2. შეიცვალოს დადგენილების მე-2 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფი განისაზღვროს 0,6 (სამოცი თეთრი) ლარით".

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

იოსებ ხახალეიშვილი

განმარტებითი ბარათი

„ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №169 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა) **დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:** 2017 წლის 29 მარტამდე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფი შეადგენდა 0,4 ლარს, ხოლო M_3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე 0,3 ლარს. იმ პერიოდისთვის 1 ლიტრი ბენზინის საწვავის ფასი საშუალოდ შეადგენდა 2,25 ლარს, ხოლო დიზელის საწვავის ფასი 2,10 ლარს, ყოველდღიურად სამგზავრო გადაყვანების რაოდენობა საშუალოდ შეადგენდა 85-90 ათასს მგზავრს. 2016 წელთან შედარებით 2017 წელს დიზელის საწვავის ფასის 1,50 ლარიდან 2,10 ლარამდე (საშუალოდ გაზრდილი იყო 30 %-ით) და 1 ლიტრი ბენზინის საწვავის 1,75 ლარიდან 2,25 ლარამდე გაზრდის (საშუალოდ გაზრდილი იყო 27 %-ით) გამო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა 2017 წლის 29 მარტის N169 დადგენილება, სადაც M_2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფი განისაზღვრა 0,5 (ორმოცდაათი თეთრი) ლარით, ხოლო M_2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე 0,4 (ორმოცი თეთრი) ლარით.

2022 წელს ჩატარებული მგზავრთნაკადის ქრონომეტრაჟის მონაცემებით დადგინდა, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა ყოველდღიური სამგზავრო გადაყვანების რაოდენობა და ამჟამად ის შეადგენს საშუალოდ 60-65 ათას მგზავრს, ამასთან ერთად 2017 წლის ზემოთ აღნიშნულ პერიოდთან შედარებით 2023 წლის იანვრის თვის მონაცემით 1 ლიტრი ბენზინის ფასი შეადგენს 2,70 ლარს (საშუალოდ გაიზარდა 18%-ით), ხოლო 1 ლიტრი დიზელის საწვავის ფასი შეადგენს 3,70 ლარს (საშუალოდ გაიზარდა 45 %-ით). გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანები უმეტესწილად ხორციელდება დიზელის საწვავზე მომუშავე ავტობუსებით (თითქმის 95 %).

გარდა საწვავის ფასების მატებისა თითქმის გაორმაგდა საცხებ-საპოხი მასალების ფასები.

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის N169 დადგენილებით დამტკიცებული ტარიფები შენარჩუნებული იქნა დღემდე, მაგრამ ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მოქმედი ტარიფებით მუშაობის პირობებში, კერძოდ: შემოსავლების შემცირებისა და საექსპლუატაციო დანახარჯების მკვეთრად გაზრდის გამო ვერ ხერხდება მარშრუტების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და სათანადო დონეზე სამგზავრო ავტოტრანსპორტის მოვლა-შენახვა. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, თუ არ მოხდება მგზავრობის ტარიფების იმ ოდენობამდე გაზრდა მაინც, რომ შესაძლებელი გახდეს სატრანსპორტო მომსახურების უწყვეტად მიწოდება, ამან დიდი ალბათობით შეიძლება გამოიწვიოს ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეფერხებებით მუშაობა.

სატრანსპორტო მომსახურების უწყვეტად განხორციელებისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების თითოეულ მარშრუტებზე მგზავრთნაკადის მაჩვენებლებისა და საექსპლუატაციო დანახარჯების ფაქტობრივი მონაცემებით გათვალისწინებით ჩატარებული გაანგარიშებების

შედეგების საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ მგზავრობის ტარიფის ოდენობა ორივე კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტზე შეადგენდეს 0,6 (სამოცი თეთრი) ლარს.

ბ) **დადგენილების პროექტის მიღების მიზანია:** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მოსახლეობისთვის საიმედო და ხარისხიანი სატრანსპორტო მომსახურების მიწოდება, სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შენახვის პირობების გაუმჯობესება და მათი გამართული ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფა.

2. დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება: პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ:

დადგენილების პროექტის შემუშავებაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად მონაწილეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური.

4. დადგენილების პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი.

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტის წარმომდგენი პირი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტს წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

იოსებ ხახალეიშვილი